

ნესტან სულავა

ასოცირებული პროფესორი, თსუ

თარგუმების მნიშვნელობა „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით

შესავალი. წმ. ევსტათი მცხეთელის მხატვრული სახის წარმოდგენისას მასში მკითხველი ადრეულ საუკუნეებში ასახულ მოაზროვნე წმინდანს, ანუ იმგვარ პიროვნებას ხედავს, რომლის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა რთულმა ფსიქოლოგიურმა და ინტელექტუალურმა ძიებამ განაპირობა, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება ადრეც გამახვილდა. ტექსტში ჰაგიოგრაფიული გმირის სულიერი განვითარების საჩვენებლად დიდი როლი აკისრია თარგუმების სახით ჩანართ ბიბლიურ ნაწილებს, რომლებსაც თავიდან ბოლომდე ღვთაებრივი სიკეთე, ნათელი და ადამიანის თვითშემეცნებისაკენ სწრაფვა წარმართავს.

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ ჩართული თარგუმების განხილვამდე საჭიროა ამ ტერმინის რაობის ახსნა-განმარტება და თარგუმთა შექმნის ისტორიის გადმოცემა.

თუ რამ გამოიწვია თარგუმების შექმნა ძველი აღთქმის ეპოქაში და რა მიზნით დაიწერა თარგუმები, საკმაოდ შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში, აგრეთვე განსაზღვრულია თარგუმის რაობა და არსი. ტერმინოლოგიურად იგი ბიბლიურ, ძირითადად ძველი აღთქმის პერიოდში შემუშავებული ტერმინია და თანამედროვე ენაზე განმარტებას ნიშნავს, ხოლო ეტიმოლოგიურად ებრაული სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაა – targumim (აქედან მომდინარეობს სიტყვა „თარგმანი“). ბიბლიური (ძველი აღთქმის) ტექსტებისა და თარგუმების საფუძველზე, აგრეთვე, მათ შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შეიძლება თარგუმთა შექმნის რამდენიმე ეტაპი გამოიყოს: 1. პირველი ეტაპი, უძველესი პერიოდი იმ ეპოქას განეკუთვნება, როდესაც ჯერ კიდევ ებრაულ ტექსტს სჭირდებოდა განმარტება, რადგან ბიბლიის ტექსტებში ყველაფერი ზუსტად მითითებული არ იყო და მსმე-

ნელს/მკითხველს კითხვები ებადებოდა, რაც მათი კომენტარების აუცილებლობას ბადებდა; ამის ნიშნად პ. შულიკს მოაქვს ბიბლიაში აღწერილი კაენისა და აბელის ურთიერთობა, კაენის მიერ აბელის მოკვლა, რაც ბიბლიაში არასრულყოფილადაა ასახული და რის გამოც შეიქმნა თარგუმები, ყოველივე ამის შეფასება არამეულ თარგუმებში,¹ რაც ძველი აღთქმის წიგნებს პერიფრაზის, განმარტებების, დამატებების სახით დაერთვოდა; 2. მეორე საფეხური სექტუაგინტას, ბერძნულ ენაზე ბიბლიის თარგმნას უკავშირდება, როდესაც მთარგმნელის წინაშე უმნიშვნელოვანესი ამოცანა იდგა: ივრითის არმცოდნეთათვის წმინდა წერილის აღქმა, უწინარეს ყოვლისა, ებრაელთათვის არამეული თარგუმების საშუალებით იუდაიზმის მრწამსის, საფუძვლების სწავლება;² 3. ქრისტიანული სამყაროსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე ეტაპი, რადგან ბერძნული სექტუაგინტა და ლათინური ვულგატა ძველი აღთქმის წიგნებს ქრისტიანულად ინტერპრეტირებულს და ქრისტიანული დოგმებით გაჯერებულს აწვდიან მორწმუნეებს. აგრეთვე, თარგუმები დაურთეს ახალი აღთქმის წიგნებს, რათა მრევლს წმინდა წერილის, საღმრთო სწავლების უკეთ აღქმაში დახმარებოდა. ქრისტიანულ ლიტერატურაში თარგუმის სახით შეაქვთ სხვა საღვთისმეტყველო თხზულებებიც (მაგ., „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ შეტანილია „მრწამსის“ ტექსტი).

სამეცნიერო ლიტერატურაში ღვთის არსის განმარტების საფუძველზე შეხედულებები თარგუმთა ჩამოყალიბების შესახებ ღვთის არსის ადამიანის მიერ შეცნობას, ღვთის გამოცხადებასა და საღმრთო სიტყვის ბიბლიურ კონცეფციას დაუკავშირეს.³ მკვლევართა აზრით, პირველი თარგუმები მაშინ გამოჩნდა, როდესაც ძვ. წ. III-I საუკუნეებში სექტუაგინტა ბერძნულ ენაზე ითარგმნებოდა. ამის მოწმობად მოიხმობენ ყუმრანის არამეული თარგმანების უძველეს ფრაგმენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის არამეული თარ-

¹ P. L. Šulyk. Targum kak interpretaciâ biblejskih tekstov. Naukovi praci Kam'ânc'-Podil's'kogo nacional'nogo universitetu imeni Ivana Ogiienka. Filologični nauki. Vip. 27. 2011, pp. 365-368. http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83 (П. Л. Шулык. Таргум как интерпретация библейских текстов. Наукові праці Кам'янець-Подільського національного університету імені Івана Огієнка. Філологічні науки. Вип. 27. 2011, с. 365-368. http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83).

² P. L. Šulyk. Targum kak interpretaciâ biblejskih tekstov, pp. 365-368. http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83 (П. Л. Шулык. Таргум как интерпретация библейских текстов, с. 365-368. http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83)

³ D. Colin. Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Konceptiâ Božestvennogo Slova (არაში). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah> (Д. Цолин. Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (არაში). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah>).

გმანების შესრულებას ებრაული ტრადიცია ეზრას ეპოქას, ე. ი. ძვ. წ. V საუკუნეს, უკავშირებს. უძველეს პერიოდში ბიბლიის არამეულ ენაზე თარგმნა ახსნილია ამ ენის კოპულარობით, უფრო ზუსტად, არამეულის საერთაშორისო ენად გამოცხადებით, რაც ბაბილონის ტყვეობამდე უნდა მომხდარიყო. ეს ფაქტი დადასტურებულია თვით ბიბლიურ ტექსტებშიც, კერძოდ, ესაია წინასწარმეტყველის თხზულებაში (ეს. 36, 11). ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ თარგუმი იმ პერიოდში შეიქმნა, როდესაც ებრაული ენა იუდეველებისათვის ჩვეულებრივი სამეტყველო ენა უკვე აღარ იყო და გაჩნდა ბიბლიური ტექსტების არამეულზე თარგმნისა და განმარტებების აუცილებლობა/საჭიროება. თავის მხრივ, არამეულის გავრცელებას ხელი შეუწყო სირიაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა და საომარმა მოქმედებებმა; ისრაელის სამეფოში გადასახლებული ხალხები ერთმანეთთან არამეულად საუბრობდნენ, ხოლო გადასახლებულთა შთამომავლებმა, კერძოდ სამარიტელებმა, ახალი ეთნიკური ერთობაც შექმნეს და მათი საურთიერთობო ენა არამეულის ერთ-ერთი სახეობა – სამარიტული გახდა. ბაბილონის ტყვეობის პერიოდში სხვა ქვეყანაში გადასახლებული ებრაელების მიერ არამეულ ენაზე საუბრის დაწყების საფუძვლად იმას მიიჩნევენ, რომ არამეული და ძველებრაული ენები, როგორც ჩრდილო-დასავლურ სემიტურ ენათა ჯგუფის ენები, ერთმანეთს ჰკავდა და ამიტომ სხვადასხვა კუთხეში გაფანტულმა ებრაელებმა არამეული ადვილად შეითვისეს. მათთვის წმინდა წერილის ენა, ძველებრაული, გაუცხოვდა, იუდეველთა დიდ ნაწილს იგი უკვე აღარ ესმოდა. შესაბამისად, ბიბლიის (ძველი აღთქმის) ენა საკრალური გახდა, იგი მხოლოდ ღვთისმსახურებისას და ბიბლიის სწავლებისას გამოიყენებოდა, ხოლო რაკი სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდათ, მათ განმარტება აუცილებელი გახდა. სწორედ ეს იყო ძველი აღთქმის წიგნების ცოცხალ სასაუბრო ენაზე თარგმნის მიზეზები, ასეთი ენა კი არამეული იყო. სინაგოგაში ღვთისმსახურებისას ბიბლიის ტექსტის კითხვის პარალელურად განმარტებებს (თარგუმებს) ხმამაღლა კითხულობდნენ: ებრაულად წაკითხული ყოველი სამი მუხლის შემდეგ საჭირო იყო მათი განმარტება (ნეემ. 8, 8). ასე დაიწყო თარგუმების ჩამოყალიბება და გაჩნდა მკითხველ-მეთურგემანიც (თარგუმებსაც სიმღერით ასრულებდნენ. ქართულად წართქმით შესრულება). ჩვენამდე მოღწეულია პალესტინაში შექმნილი საკმაოდ ადრეული პერიოდის თარგუმები, რომელთაც პროტოთარგუმებსაც უწოდებენ და მისი ხელნაწერი ბაბილონში მოხვედრილა. ასე ჩამოყალიბდა ონკელოსის ებრაელთა თემის მიერ აღიარებული, ოფიციალური თარგუმები თორას ხუთწიგნეულისათვის, ხოლო იონათ-

ანისა – წინასწარმეტყველთა წიგნებისათვის. თარგუმები ორიგინალს, ძველი აღთქმის ტექსტებს საკმაოდ უახლოვდებოდა, თუმცა შიგადაშიგ პერიფრაზები და ტექსტში ჩართული გლოსებიც საკმაოდაა.⁴

პალესტინაში დარჩენილი პროტოთარგუმების ხელნაწერთა საფუძველზე თარგუმთა შექმნის მეორე ეტაპი დაიწყო და ჩამოყალიბდა მეორე რედაქციაც, რომელსაც პალესტინური თარგუმები უწოდეს. მკვლევარები მეორე ეტაპზე თარგუმთა შექმნას უკავშირებენ იუდაიზმის პოლემიკას ქრისტიანობასთან, გნოსტიციზმთან და სამარიტელთა იუდაიზმთან. ბიბლიურ ტექსტებს საკმაოდ ბევრი განმარტება და ქადაგებათა ფრაგმენტებიც დაემატა. ასე, რომ თარგუმთა შედგენისა და ბიბლიურ ტექსტებზე (იგულისხმება ორივე წიგნი: ძველი და ახალი აღთქმა) დართვის აუცილებლობა განაპირობა ტექსტების უკეთ გაგებამ, გააზრებამ. ასე გადაიქცა თარგუმები ბიბლიის პარაფრაზებად, გარდათქმებად და არა უშუალო თარგმანებად. იმასაც უთითებენ, რომ ზოგიერთი შეხედულება ღვთისჩენის, მესიის, ძველი აღთქმის ცალკეული მოვლენის შესახებ, აგრეთვე, ცნობები სამართლებრივი ხასიათის ცალკეული საკითხის შესახებ მხოლოდ თარგუმებში გვხვდება. თარგუმები, ერთი მხრივ, იუდეური თხზულებებია და მათში შემორჩენილია ანტიქრისტიანული პოლემიკის კვალი, რაც ახ. წ. II-IV საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო, მეორე მხრივ, თარგუმების კონცეფცია ქრისტიანულს ეთანხმება ან უახლოვდება მანც.⁵

ბიბლიური ტექსტების განმარტებებს ან პერიფრაზულ თარგმანს არამეულში „თარგუმად“ იხსენიებენ. ეს ტერმინი სინაგოგური ლიტურგიის კონტექსტში აღმოცენებული ბიბლიური ტექსტის ძველი არამეული თარგმანებისთვის გამოიყენებოდა, რაც, როგორც აღინიშნა, მორწმუნეთა უმრავლესობის მიერ ძველებრაული ენის უცოდინრობამ განაპირობა. თავდაპირველად თარგუ-

⁴ D. Colin. Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Konceptiâ Božestvennogo Slova (არამ.). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah> (Дмитрий Цолин, Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (არამ.). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah>).

⁵ B. Grossfeld. The Targum Onqelos to Genesis (The Aramaic Bible. 6). Edinburgh: Clark. 1988. Targum Onkelosa na Knigu Bytiâ (per. s aram. A. K. Lâvdanskogo). Klassičeskie biblejskie komentarii: Kniga Bytiâ. Sbornik perevodov s drevneevrejskogo, aramejskogo i srednevekovogo ivrita. Moskva. 2010 (Таргум Онкелоса на Книгу Бытия (пер. с арамејскогo и средневековогo иврита. Москва. 2010); P. A. Ūngerov. Vvedenie v Vethij Zavet. <http://www.sbible.ru/books/jung.htm> (П. А. Юнгеров. Введение в Ветхий Завет. <http://www.sbible.ru/books/jung.htm>); D. Colin. Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Konceptiâ Božestvennogo Slova (არამ.). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah> (Д. Цолин. Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (არამ.). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah>).

მის ზეპირად წარმოთქმა, დაწერის შემდეგ კი წაკითხვა, შაბათ დღეს და დღესასწაულებზე თორასა და წინასწარმეტყველთა ნაწერების კითხვას სდევდა; იგი აუცილებლად ზეპირად უნდა წარმოთქმულიყო. კერძოდ, მთარგმნელი/მკითხველი (*მეთურგემანი*) თორას ყოველი მუხლისა და წინასწარმეტყველთა ტექსტის ყოველი სამი მუხლის შემდეგ თარგუმს წარმოთქვამდა. თარგუმის ზეპირად წარმოთქმის ტრადიცია პალესტინაში II საუკუნეში შეწყდა.

თარგუმი ბიბლიური ტექსტის სულიერი ხასიათის განმარტებას შეიცავდა. ამიტომაც თარგუმი წარმოაჩენდა ბიბლიის იმდროინდელი (ქრისტემდე ბოლო და ქრისტეს მოსვლის შემდეგი პირველი საუკუნეები) განმარტების მრავალ ასპექტს. მისი ძირითადი წერილობითი ნიმუშები ძვ. წ. III-I საუკუნეებითაა დათარიღებული და მთლიანად ხუთწიგნეულს, წინასწარმეტყველებს (ზოგიერთის გამოკლებით) და მოგვიანებით სხვადასხვა ეპოქის ჰაგიოგრაფიასაც კი მოიცავდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ძვ. წ. III საუკუნეში ბაბილონში შექმნილი ხუთწიგნეულის თარგუმი, რომელიც თითქმის კანონიკურად იქცა; როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, თარგუმს საკუთარი მასორაც კი ჰქონდა და ხუთწიგნეულის რაბინულ გამოცემებში ებრაულ ტექსტს ერთვოდა. თარგუმი ოფიციალურად მიღებული იყო ბაბილონში, მოგვიანებით პალესტინაშიც გავრცელდა. ყველაზე ცნობილი იყო მოსეს ხუთწიგნეულს დართული ონკელოსის თარგუმი და წინასწარმეტყველთა წიგნებზე დართული იონათანის თარგუმი. ორივე კრებულს ძვ. წ. III საუკუნეში უკვე იყენებდნენ. ძველი აღთქმის ყველა წიგნი, ეზრას, ნეემიას და დანიელის წიგნების გარდა, ამ პრინციპით იყო გადამუშავებული.⁶

ძველ ქართულში ტერმინი „თარგმანება“ თავდაპირველად ძირითადად ბიბლიური წიგნების ცალკეული ადგილების კომენტარების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „თარგმანის“, ანუ კომენტატორის, მიზანი ტექსტის ღვთისმეტყველებითი შინაარსის ჩვეულებრივი მორწმუნე მკითხველისათვის გასაგებად გადმოცემა იყო. ქართულ ენაზე მის შემსრულებელსაც „თარგმანს“ უწოდებდნენ და იგი ის პირი იყო, რომელიც განმარტებებს, კომენტარებს აკეთებდა, ე.ი. ინტერპრეტატორი; ამავე დროს, ამ ტერმინით აღინიშნებოდა ყოველგვარი თხზულების ან საერთოდ ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე მთარგმნელი.

⁶ B. Grossfeld. The Targum Onqelos to Genesis (The Aramaic Bible. 6). Targum Onkelosa na Knihu Bytiâ (Таргум Онкелоса на Книгу Бытия); P. A. Ūngerov. Vvedenie v Vethij Zavet. <http://www.sbible.ru/books/jung.htm> (Юнгеров П. А. Введение в Ветхий Завет. <http://www.sbible.ru/books/jung.htm>); D. Colin. Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Konceptiâ Božestvennogo Slova (არמ) (Д. Цолин. Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (арм)).

მსჯელობა. ქართულ ჰაგიოგრაფიაში თარგუმები პირველად გამოყენებულია „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“, რომელშიც გადმოცემულია კანონიკური ტექსტისაგან განსხვავებული საღვთო წერილის შინაარსი, კ. კეკელიძის აზრით, იგი ან „თარგუმის“ ადრეულ ქართულ თარგმანს ეფუძნება, რომელიც დღეს აღარ ჩანს, ან ავტორისეული ვერსიაა, ე. ი. საკუთრივ ქართული „თარგუმა“.⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარგუმები გამოყენებულია თხზულებაში „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელშიც საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა და, ცხადია, საგანგებო მიზანდასახულობით არის მოხმობილი. თხზულებაში ბიბლიურ ეპიზოდებს თარგუმების სახით ბალაჰვარი ყვება, რომელმაც იოდასაფის სულიერი წვრთნა ბიბლიური წიგნებით დაიწყო.

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტში თარგუმების სახით ჩართულ ბიბლიურ-ევანგელურ მონათხრობებს, საღვთისმეტყველოსთან ერთად, გამომსახველობითი ფუნქციაც აკისრიათ. უცნობი ავტორის „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ მათი არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად არის აღნიშნული, მაგრამ მათი საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი ფუნქცია არ არის განსაზღვრული.

ამიტომ საინტერესო ისაა, რომელი მონაკვეთები და ეპიზოდებია შერჩეული, რა მიზანდასახულობით და როგორია თვით მონათხრობის სტრუქტურა, კომპოზიციურად როგორ თავსდება იგი თხზულების ძირითად ნაწილში, ეკისრება თუ არა მას მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია. ამ საკითხების გასარკვევად თითოეულ ეპიზოდზე დაკვირვება და მათი ფუნქციის, სახისმეტყველებითი ღირებულების განსაზღვრა-დაზუსტებაა საჭირო. უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბიბლიურ-ევანგელურ სიუჟეტებს თხზულებაში ძირითადად პერსონაჟის, წმ. ევსტათის მონაყოლით ვეცნობით, რომელმაც თარგუმებად ჩამოყალიბებული ეს ბიბლიურ-ევანგელური სიუჟეტები თავად სამოელ არქიდიაკონისაგან მოისმინა; მათგან წმ. ევსტათისათვის განსაკუთრებით საყურადღებო ევანგელური მონათხრობია, კერძოდ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრება, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება აღმოჩნდა, რამაც იგი ღვთის რწმენამდე, ქრისტიანობის აღიარებამდე მიიყვანა.

წმ. ევსტათი სპარსელი მარზპანის წინაშე სხვა რელიგიათა ფონზე ქრისტიანობის უპირატესობის ჩვენებას, მის აპოლოგიას, მარზპანის სულიერ დამოძღვრას, წარმართობიდან გადარწმუნებას სწორედ ბიბლიური წიგნების

⁷ K. Kekelije. k'art'uli literaturis istoria. 1. tbilisi. 1960, p. 514 (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. 1. თბ. 1960, გვ. 514).

სიბრძნით ცდილობს, იმ სიბრძნით, რომელსაც თავდაპირველად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თავად სამოელ არქედიაკონის მონათხრობით გაეცნო და შეისმინა.

თარგუმებთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად საჭიროა თითოეული ეპიზოდის გაანალიზება, რათა დაზუსტდეს ბიბლიურ ტექსტებთან მიმართება, მათი დატვირთვა რელიგიური თვალსაზრისით და განისაზღვროს სახისმეტყველებითი არსი. თარგუმების შინაარსი თხზულებაში ბიბლიურ ტექსტებს ზოგჯერ სცილდება, არ ემთხვევა, რის თაობაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში განსაზღვრული მოსაზრებები გამოთქვებს ა. ჰარნაკმა, ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, ე. ჭელიძემ. ა. ჰარნაკის აზრით, ძველი აღთქმის ტექსტების დასამოწმებლად ავტორს დეკალოგის, ანუ ათი მცნების გადმოცემისას, გამოყენებული აქვს ცნობილი „დიდაქე“, ხოლო სახარების ტექსტთან დაკავშირებით იგი უნდა ემყარებოდეს II საუკუნის მოღვაწის ტატიანე ასურის „დიატესარონს“ (დამოწმებულია კ. კეკელიძის წიგნიდან: *კეკელიძე, 1960: 514*). კ. კეკელიძემ თხზულებაში დამოწმებული ბიბლიურ-ევანგელური სიუჟეტების ახსნა ა. ჰარნაკის მიერ მითითებული ტექსტებით შეუძლებლად მიიჩნია, რადგან „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ზემოხსენებულ თხზულებებთან მხოლოდ რამდენიმე დეტალის დამთხვევით ამ დასკვნის გაზიარება გაჭირდება. მისი აზრით, რომელიც ნ. მარის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ემყარება,⁸ ეს სიუჟეტები სირიული ან სპარსული თარგუმები უნდა იყოს. აგრეთვე, შესაძლებელია ქართული თარგუმების არსებობაც, რაც ნ. მარს ჰქონდა ნავარაუდევო. კ. კეკელიძის განმარტებით, „თარგუმი“ უფრო „პარაფრაზია“, ვიდრე ზუსტი გადმოცემა ტექსტისა: თარგუმისტი ჩვეულებრივ დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს, ხან ცვლის კიდევ.“⁹ ე. ჭელიძემ თარგუმში მოხმობილი ეპიზოდები შეადარა ბიბლიურ ტექსტებს, პატრისტიკული ლიტერატურიდანაც მდიდარი მასალა დაიმოწმა და „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ თავის გამოცემულ ტექსტს კომენტარების სახით დაურთო. მან თხზულებაში ჩართული თარგუმების ზოგიერთი ადგილი ბიბლიურ-ევანგელური ტექსტების კვალობაზე გამართა და

⁸ N. Marr. O kavkazskoj versii biblii v gruzinskih palimfsestnyh fragmentah, Teksty i razyskaniâ po kavkazskoj filologii. I. Leningrad. 1925, pp. 63-64. (Н. Марр. О кавказской версии библии в грузинских палимпсестных фрагментах, Тексты и разыскания по кавказской филологии. I. Ленинград. 1925, с.63-64).

⁹ K. Kekelijs. k'art'uli literaturis istoria. I, pp. 514-515 (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ. 1960, გვ. 514-515).

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტის ახალი, „ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურის“ I ტომში დაბეჭდილი რედაქციისაგან განსხვავებული ვარიანტი შემოგვთავაზა.¹⁰

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ ძველი ალექსის წიგნებისათვის შექმნილი თარგუმების ღირებულებას ქრისტიანული მრწამსი და მსოფლმხედველობა განსაზღვრავს. ტექსტში თარგუმებად ჩართულ ბიბლიურ ნაწილს თავიდან ბოლომდე გასდევს ღვთაებრივი სიკეთე და ნათელი, რომელიც სრულიად მთელ სამყაროს – ზესთასოფელსა და სოფელს, ადამიანებს ეფინება. სამოელ არქიდიაკონმა წმ. ევსტათის, ჯერ კიდევ მაზღეან გვირობანდაკს, ქრისტიანობისა და ებრაელთა სჯულის გასაცნობად ძველი და ახალი ალექსის ისტორიის ცალკეული ეპიზოდი უამბო, რასაც საღვთისმეტყველო და შემეცნებითი მნიშვნელობა ეკისრება, რადგან გვირობანდაკს ამ ეპიზოდებით ჭეშმარიტების შეცნობის საშუალება მიეცა, მის პიროვნებაში ქრისტიანული ცნობიერების ჩასახვისა და განვითარებისათვის მყარი საფუძველი მომზადდა.

თარგუმის არსის უკეთ გასააზრებლად საჭიროა ბიბლიურ თხზულებათა მუხლებისა და „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტების პარალელურად დამოწმება. საილუსტრაციოდ ათი მცნების ტექსტებს დავიმოწმებ:

ბიბლიიდან:

„1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.

2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა შინა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

3. არა მოილო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.

4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა.

5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაფთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქვეყანასა ზედა.

6. არა კაც-ჰკლა.

7. არა იმრუშო.

8. არა იპარო.

¹⁰ E. Čelize. jveli k'art'uli sacklesio literatura. I. t'bilisi. 2005, pp. 367-454 (ე. ჭელიძე. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. I. თბ. 2005, გვ. 367-454).

9. არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა.

10. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყუსისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყუსისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხეველისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაღცა იყვეს მოყუსისა შენისა“.¹¹

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამებიდან“ (ტექსტში რიგი არაა მითითებული):

„შეიყუაროთ უფალი ღმერთი თქუენი ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა სულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა;

ნუ კაც-ჰკლავ,

ნუ იპარავ,

ნუ ისიძავ,

ნუ გული გითქუამს ცოლსა მოყუსისა შენისასა,

ნუ ცილსა ჰფუცავ,

ნუ ცილსა სწამებ,

ნუ ორსა სიტყუასა იტყვ,

თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა,

შეიყუარე მოყუასი შენი ვითარცა თავი თვისი,

შაბათნი ჩემნი დაიმარხნეთ, დღესასწაულნი და შესაწირავნი და უქმნელეხანი აღასრულნეთ“.¹²

ბიბლიური და „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტები ერთმანეთისაგან განსხვავდება. შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტში ათი მცნება ზეპირადაა თარგუმის სახით ჩართული, რაც ანონიმი ავტორის ბიბლიურ წიგნებში, ქრისტიანულ საღვთისმეტყველო მოძღვრებაში, ლიტერატურაში განსწავლულობას მოწმობს. თუმცა, იგი ბიბლიური წიგნების მონაცემებით არ სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს,

¹¹ biblia. or tomad, korneli kekelijis saxelobis xelnacert'a erovnuli c'entris gamoc'. t'bilisi. 2017 (ბიბლია. ორ ტომად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოც. თბ., 2017).

¹² jveli k'art'uli agiograf'iuli literaturis jglebi. I. dasabc'edad moamzades il. abulajem, I. at'anelišvilma, n. goguajem, I. k'ajaiam, c'. k'urc'ikijem da c'. jgamaiam. ilia abulajis xelmjgvanelobit'a da redak'c'iit'. t'bilisi, 1963/1964, p. 37 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 37).

რომ ან უკვე არსებულ თარგუმებს იყენებს, ან თვით ავტორი ზეპირად დამახსოვრებულ ტექსტს წერს.

თარგუმებში მოთხრობილია, თუ როგორ ეჩვენა ღმერთი „ჩუენებასა ღამისასა“ აბრაჰამს და აღორძინება-გამრავლებას შეჰპირდა, რაც ბიბლიურ მონათხრობს ემთხვევა. იგი, როგორც მამამთავარი, სათნოდ და „უბიწოდაა“ წარმოჩენილი. უფალმა აბრაჰამში ჰპოვა საყრდენი, რათა ღვთის უზენაესი ნებით ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირი დაემყარებინა, კავშირის საფუძველი სათნოება და სიყვარული უნდა ყოფილიყო, რაც მანამდე აღადამიანებს აკლდათ და რის გამოც ღმერთმა ისინი რამდენჯერმე დასაჯა. აბრაჰამში ღვთაებრივი და ადამიანური სიკეთე შეერთდა და ამქვეყნიური ჰარმონია წარმოიშვა. „აბრაჰამისნიც“ ისევე შეიყვარა უფალმა, „ვითარცა უყუარან მამასა საყუარელი შვილი“. ღმერთმა ებრაელთა ქვეყანას ისრაელი უწოდა, რაც ებრაულად ღვთის ერს, რჩეულ ერს ნიშნავს. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ავტორი ბიბლიური მონათხრობიდან ყველაფერს არ იღებს. ეს მის მიერ შერჩეული თხზულებაში დამოწმებული ეპიზოდებისადმი მისივე დამოკიდებულებიდან ჩანს, კერძოდ, იგი იძულებულია ისაუბროს სოლომონის უკუღმართ ხანაზე, ქრისტეს შემხვედრ უმწეო ეშმაკზე, ან გაბრაზებულ ბრბოზე, რომელმაც არ ირწმუნა მაცხოვრის ყოვლისშემძლეობა. მაგრამ ისინი არ არიან იმ ძალის მქონენი, რომელთაც შეუძლიათ სიკეთისა და სინათლის სვლის შენელება და კაცობრიობის დაბრუნება პირველქმნილ უწესრიგობასთან, ქაოსთან. აქ ბოროტების ყოველი გამოვლენა სიკეთის უკმარობას ასახავს, რაც არეოპაგიტული მოძღვრების ანარეკლი უნდა იყოს ბოროტის უარსობის შესახებ, როდესაც ბოროტება გააზრებულია, როგორც სიკეთის ნაკლებობა.¹³ ძველ აღთქმაში ადამიანთა უგუნურებას, ბოროტი მეფის „სათაყვანებელი“ სახის წარმოჩენას, ურწმუნობას, თუნდაც რწმენის სინაკლებეს, დიდი ადგილი უჭირავს, რაც ძველი აღთქმის ეპოქის ხალხს, უფლის რჩეულიც რომ იყოს იგი, სიკეთეს არ უქადის. ღმერთზე გაბრაზებული ხალხი მისი გულის მოგებას არ ცდილობს, პირიქით, ცდილობს მისწვდეს ღმერთის ფიზიკურ სამყოფელს, რაც ღვთის შემეცნების სურვილით არ არის აღძრული, ზოგჯერ კი

¹³ სამეცნიერო ლიტერატურაში არეოპაგიტული მოძღვრების კვალის შესახებ „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული (see – S. Nuc'ubije. k'art'uli p'ilosop'iis istoria. I. t'bilisi. 1956, p. 278 (შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბილისი, 1956. გვ. 278); B. Kilanava, k'art'uli damcerlobisa da mcerlobis sat'avebt'an. t'bilisi. 1990, pp. 212-229 (ბ. კილანავა. ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან. თბ. 1990, გვ. 212-229).

შეეწინააღმდეგოს კიდევ მას. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტი ბიბლიური მონათხრობისაგან ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს, კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ აბრაამის სიცოცხლეში ისააკი დაქორწინებული იყო, მაგრამ ესავი და იაკობი დაბადებული არ იყვნენ. ამიტომ თხზულების ტექსტში ნათქვამი, ღმერთმა აბრაამს უბრძანა, რომ თავისი შთამომავლებისათვის წინა დაეცვითა, ხოლო ისააკის შვილებიც სახელებით მოიაზრა, ბიბლიური ტექსტიდან ოდნავ გადახვევაა; ხსენებით მხოლოდ ისაკი შეიძლება ნახსენები ყოფილიყო, სახელდებით იაკობი არ უნდა ხსენებულიყო. დავიმოწმებ „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ შესაბამის ეპიზოდს: „და ესუა აბრაჰამს ისაკი და ისაკს იაკობი. და იაკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი და უბრძანა ღმერთმან აბრაჰამს და ჰრქუა: წინა-დასცკეთ ისაკს და იაკობს და ყოველთა ძეთა იაკობისთა, და იყავნ იგი თქუენდა რჩულად საუკუნოდ“.¹⁴ პარალელურად დავიმოწმით ბიბლიის ტექსტი: „და ესე არს აღთქუმაჲ, რომელი დაიმარხით შორის ჩემსა და თქუენსა და შორის ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა ვიდრე ნათესავადმდე მათა: წინადასცკითოთ თქუენ ყოველსა წულსა ნათესავსა შორის თქუენსა. და წინადაიცკითოთ ჳორცი წინადაცუეთილებისა თქუენისაჲ და იყოს სასწაულად აღთქუმისა შორის ჩემსა და შორის თქუენსა“ (დაბად. 17, 10-11). როგორც ვხედავთ, ბიბლიის ამ ეპიზოდში არც ისააკი და არც იაკობი არაა ნახსენები; მეტიც, ღმერთის მიერ აბრაამის კურთხევის დროს არც ისააკი იყო დაბადებული და ასაკოვან აბრაამს ეცინება ღმერთის მიერ მისი შთამომავლების ხსენებაზე; ბიბლიურ ტექსტში ზოგადად აბრაამის შთამომავლებია მითითებული და არა კონკრეტულად აბრაამის შვილი და შვილიშვილები სახელდებით. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ დამოწმებული ძველი აღთქმის ტექსტებზე დამყარებული თარგუმები და თვით ბიბლიური ტექსტები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ განსხვავებებიც არის. კერძოდ, თხზულებაში აბრაამის ქანაანში დამკვიდრება ძველი აღთქმისეულისაგან მცირედით განსხვავდება.

საინტერესოა ავტორის დამოკიდებულება ბიბლიური მეფეებისადმი: ისრაელელთა პირველი მეფის საულისადმი, მეფის იდეალად მიჩნეული დავით წინასწარმეტყველისადმი, სოლომონისადმი. თხზულებაში ბიბლიის კვალობაზე აღნიშნულია მეფის ინსტიტუტის დაარსება ისრაელელთა მოთხოვნით; აქ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ პირველი მეფე, რომლის სახელს ავ-

¹⁴ jveli k'art'uli agiograf'iuli literaturis jglebi. I, p. 37 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 37).

ტორი თარგუმში არ ახსენებს, საკუთარ ძალას მიენდო და არა ღმერთს, რის გამოც მოკლულ იქნა კიდეც იგი. შემდეგ კი მეფე გახდა დავითი, ღმერთის საყვარელი და რჩეული პიროვნება, რომელიც ბიბლიაში მეფობის ნიმუშად იქცა არა მხოლოდ ებრაელთათვის, არამედ ყველა ქვეყნის სამეფო დინასტიებისათვის. რაც შეეხება სოლომონს, დავით წინასწარმეტყველის ძეს, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტში დამოწმებულ თარგუმებში იგი ღვთივმიმადლებულ მეფედ არაა წარმოჩენილი.

საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს ის ფაქტი, სამოელ არქიდიაკონის მონათხრობიდან რომელ ევანგელურ ეპიზოდს ირჩევს და უამბობს წმ. ევსტათი მცხეთელი მარზპანს. ახალი აღთქმის კანონიკური ტექსტებისაგან საკმაოდ განსხვავებული ვერსიები შეინიშნება, მეტი ცვლილებებია შეტანილი, ვიდრე ძველი აღთქმის ტექსტებში, რომლებიც თარგუმების სახითაა შესული. კერძოდ, მაცხოვრის მოვლინებისა და მისი ამქვეყნიური ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი სახარებისეულისაგან განსხვავდება. უწინარეს ყოვლისა, თხზულების ტექსტი თარგუმის ერთ-ერთ მონაკვეთში კონსტანტინოპოლის 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული „მრწამსის“ ტექსტის ნაწილობრივი ანარეკლია: „შევიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და ჳორცნი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიამისაგან“.¹⁵ უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებაში საღვთისმეტყველო სწავლებას ყველაზე მეტად თარგუმის ეს ნაწილი ასახავს, რადგან აქ გადმოცემულია მაცხოვრის განკაცების სოტერიოლოგიური დანიშნულება და ამ ფაქტის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ დამოწმებული წინადადება შეიძლება შევადაროთ „მრწამსის“ კანონიკურ ტექსტს, იგი „მრწამსის“ ტექსტთან ახლოს დგას.

დავიმოწმით „მრწამსის“ სრული ტექსტი:

„მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჳეშმარიტი ღვთისაგან ჳეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა;

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან

¹⁵ jveli k'art'uli agiograpiuli literaturis jglebi. I, p. 38 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 38).

ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო, და და-
ეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა,

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა,
რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან
გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რო-
მელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა
ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ¹⁶.

შედარება გვაჩვენებს, რომ „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექს-
ტში „მრწამსი“ სრულად არ არის შეტანილი, მაგრამ ჰაგიოგრაფიულ თხზუ-
ლებაში დამოწმებული წინადადება სწორედ „მრწამსის“ ტექსტს ემყარება.

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ ჩართული შობის, ნათლისღებისა
და სასწაულების ამსახველი ეპიზოდების ნაწილის გადმოცემა ზეპირ მეხსი-
ერებას ემყარება. კერძოდ, ხუთი პურისა და ორი თევზის ეპიზოდი განსხვა-
კებულადაა გადმოცემული. თხზულებაში თარგუმის სახით მოთხრობილია
მაცხოვრის პირველი სასწაულის შესახებ, რომელიც „კანად გალილეასა“
ჩაიღინა და წყალი ღვინოდ გადააქცია (იოანე, 4, 26). თხზულების ზოგიერ-
თი ეპიზოდი სახარების ტექსტის სხვადასხვა რედაქციასთან ამჟღავნებს სი-
ახლოვეს, მაგ., ჰადიშურთან, ნიკოდიმოსის სახარებასთან. ზოგიერთ შემთხვე-
ვაში ბიბლიურ-ევანგელური თხრობის თანმიმდევრობაც დარღვეულია. კერ-
ძოდ, თხზულებაში სამყაროს შექმნის კონცეფცია მაცხოვრის ჯვარცმის შემ-
დეგაა აღწერილი. უაღრესად მნიშვნელოვანია ლაზარეს აღდგინების, ტადრის
დანგრევისა და სამ დღეში აღშენების, მაცხოვრის დასმენისა და გაცემის ეპ-
იზოდები, რომელთაც სიმბოლური სახისმეტყველება წარმართავს. საგულის-
ხმოა მაცხოვრის ჯვარცმის, სამარედ დაფლვის, მესამე დღეს აღდგომის შე-
სახებ მონათხრობი, რომელშიც ანონიმი ავტორი სახელდებით მხოლოდ წმ.

¹⁶ Lotsvani. Dabech'dilia ruis-urbnisis mtavarepiskoposis Iobis (Akiashvili) lotsva-kurtkhevit. Tb. 2002 (ლოცვანი. დაბეჭდილია რუის-ურბნისის მთავარეპისკოპოსის იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით. თბ. 2002).

მარიამ მაგდალინელს ახსენებს. მაცხოვრის მოწაფეთა ქადაგებების შესახებ მონათხრობი და ქრისტეს მოძღვრებები მიჰყვება ახალი აღთქმისეულ ტექსტს, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები შეინიშნება, რაც ტექსტის გარდათქმისას მოსალოდნელიცაა.

თარგუმებში გადმოცემული სიბრძნე ბიბლიურ-ევანგელური და პატრისტიკულია, რაც სხვა რელიგიებთან შედარებით ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის საჩვენებლად არის მოხმობილი. წმ. ევსტათიმ სპარსთა წინაშე სწორედ სამყაროს შექმნის ბიბლიურ-ევანგელური კონცეფციის გაცნობით შეძლო თავისი სულიერი სიძლიერის დამტკიცება, ქრისტიანობისადმი სიყვარულისა და თავყანისცემის გამოხატვა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თარგუმები ჰაგიოგრაფიული გმირის სულიერი აღმასვლის, ზეციური მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობის მაუწყებელია.

მართალია, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ ბოროტ ძალებს ანგარიშგასაწევად არ მიიჩნევს, რადგანაც მათ მოქმედებას არ აქვს პერსპექტივა, – ვალდებულების შეგნების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე გააზრებული ბრძოლის კვალს, – მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბოროტ ძალას სულიერი სიძლიერე აკლია, იგი ფიზიკური ძალით თრგუნავს წმ. ევსტათის, ხოლო სულიერად მისი დაჯაბნა არ შეუძლია, რადგან მისი ნება მხოლოდ ამქვეყნიურობას სწვდება და მარადიულობამდე ხელი არ მიუწვდება.

მთელი თხზულება მომავალი სულიერი გამარჯვების იმედითაა გამსჭვალული. ამიტომაც წმ. ევსტათის თავზე დამტყდარი ყოველი განსაცდელი და მისი მოწინააღმდეგე ყოველი პიროვნება, უარყოფითი თვისებებით აღჭურვილი, გააზრებულია, როგორც წარმავალ ღირებულებებს ადევნებული, რომელსაც არ შეუძლია წინ აღუდგეს ნათელ მოძღვრებას. ე. წ. უარყოფით პერსონაჟთა ხასიათებში წარმოჩენილია ის თვისებები, რომლის სიკეთედ მოქცევა პოტენციურად შესაძლოა, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ მომენტში, ე. ი. წმ. ევსტათის წამების გადაწყვეტილების მიღებისას, ეს შეუძლებელია. მაგ., ვეჟან ბუზმირი და წმ. ევსტათი ორივენი სპარსელები არიან: პირველი სჯის მეორეს ქრისტიანობის მიღების გამო, წმინდანმა რწმენა ტრადიციაზე მაღლა დააყენა, სამ რელიგიათაგან ერთზე გააკეთა საკუთარი არჩევანი და ბოლოს მარზპანის მოქცევასაც შეეცადა, ე. ი. პროზელიტიზმის გზას დაადგა. მათი მოქმედების არსი და მიზანი განსხვავებულია. მართალია, როგორც ღვთისგან ქმნილი ადამიანები, ერთნაირი თვისებებით იშვნენ, მაგრამ განსხვავებულმა სულიერმა ინტერესებმა და ინტელექტუალურმა გარემომ შექმნილ სიტუაცია-

ში ისინი განსხვავებული თვისებების მქონედ წარმოაჩინა; ეს თვისებები მათი ეთიკური აღზრდის, ქცევის, სულიერი სამყაროს, ინტერესების განსხვავებულობის შედეგია. ამიტომ წმ. ევსტათი მცხეთელი თავის თანატომელებს, სპარსელებს რწმენით, აღმსარებლობით, შინაგანი მრწამსით, მსოფლმხედველობით გამოეყო და ქრისტიანულ მსოფლმხედვას, რწმენას შეუერთდა.

წმ. ევსტათი ახალი სამყაროს, სულიერობისა და ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანია, რაც მისი მზრიდან არსებულის უკმარისობის განცდით იწყება, შემდეგ იგი ძიებაში გადადის და საბოლოოდ პროზელიტიზმის შედეგად ქრისტეს რჯულზე მოქცეული სულიერად აღორძინებული გვევლინება. მართალია, წმ. ევსტათი ეწამა, იგი სიცოცხლეს წამებით გამოეთხოვა, მაგრამ მისი იდეა – ქრისტიანობის უპირატესობა სხვა რელიგიებზე გამარჯვებული დარჩა. ის ამ იდეის ერთ-ერთ მსახურად და დამცველად მოგვევლინა. იგი ამითაც განშორდა, გამოეყო თავის გენეტიკურ ტომელებს. ფიზიკურად გარდაიცვალა, მაგრამ წამებით განწმენდილი მისი ნათელი სული მომავლის ქრისტიან ადამიანებს ამხნეებს, მისი უკვდავი სული ყოველ ამქვეყნიურ წარმავალზე მალდდება, როგორც წარუვალი და მარადიული. ამითაც არის განპირობებული ამაღლებული და ქრისტიანული სიკეთის მომავალი გამარჯვების გამომხატველი ის სიტყვები, რომლითაც თხზულება მთავრდება: „ხოლო მან ფრიად განიხარა და დაჰმარხა იგი ღიღითა ღიღებითა და პატივითა წმიდასა ეკლესიასა მცხეთისასა და ვიდრე აქამოდის იქმნებიან კურნებანი სნეულთანი მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს სუფევად და ძლიერებაჲ, პატივი და სიმტკიცე და ღიღებაჲ მოუკლებელი სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე: ამენ“¹⁷. ზესთასოფელში გადანაცვლებულ წმინდანს ჰაგიოგრაფიაში ღვთისაგან სასწაულებრივი კურნების უნარი აქვს მინიჭებული, რითაც იგი მაცხოვრის მიერ ამქვეყნად გავლილ გზას ამოწმებს. ასევეა წმ. ევსტათის სულიც, რომელმაც მაცხოვრის ჯვარცმა საკუთარი წამებით დაამოწმა, რის შემდეგაც მეოხად და მკურნალად მოევლინა ქრისტიან მრევლს, მათ შორის – ქართველ ერს. შევნიშნავ, რომ სასწაულებრივი კურნება მხოლოდ ფიზიკურ კურნებას არ ნიშნავს, იგი ერის, საზოგადოების ქრისტეს სჯულზე მოქცევის, ქრისტიანობის დაცვისა და მისთვის თავდადების მოწმობაა. ყოველივე ამას წმ. ევსტათის მიერ თარგუმების სახით მოწოდებული ბიბლიური ეპიზოდების შესაფერისად გამოყენება

¹⁷ jveli k'art'uli agiograf'iuli literaturis jeglebi. I, p. 45 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 45).

და მოხმობა მოწმობს. თარგუმების სახით გამოვლენილი ბიბლიის ცოდნა და მისი გადმოცემა წმინდანის ქრისტიანულ ცნობიერებას დაედო საფუძვლად.

შედეგები და დასკვნები.

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ თარგუმებში გადმოცემული სიბრძნე ბიბლიურ-ევანგელური და პატრისტიკულია, რაც სხვა რელიგიებთან შედარებით ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის საჩვენებლად არის მოხმობილი. წმ. ევსტათიმ სპარსთა წინაშე სწორედ სამყაროს შექმნის ბიბლიურ-ევანგელური კონცეფციის გაცნობით შეძლო თავისი სულიერი სიძლიერის დამტკიცება, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოხატვა. საზოგადოდ, შეიძლება აღინიშნოს, რომ თარგუმებს ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში პერსონაჟი სხვებზე გავლენის მოხდენის აუცილებლობის მიზნით იყენებს, ამავე დროს, თარგუმი სულიერი სწავლებაა და ჰაგიოგრაფიული გმირის სულიერი აღმასვლის, ზეციური მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობის მაუწყებელია.

თარგუმებზე დაკვირვება ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა: „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტში ჩართული ბიბლიური ეპიზოდები კანონიკური ტექსტისაგან მეტნაკლებად განსხვავდება, რაც მიუთითებს მათ წარმომავლობას თარგუმებისაგან; იქ, სადაც „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ განსხვავებული ვარიანტია წარმოდგენილი, ჩანს, რომ იგი ბიბლიიდან არაა დამოწმებული, არამედ თარგუმების სახით არსებული ტექსტიდან, რომელიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. კეკელიძე) აღინიშნა, შეიძლება ქართულადაც არსებულიყო, ან შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვა ენებზე, კერძოდ არამეულად შექმნილი თარგუმის ტექსტიც.